"SALIKH ABASHIDZE INFECTIOUS DISEASES, AIDS & TUBERCULOSIS REGIONAL CENTER" LTD

Digitally signed by "SALIKH ABASHIDZE INFECTIOUS DISEASES, AIDS & TUBERCULOSIS REGIONAL CENTER" LTD
Date: 2019.01.29 15:19:06 +04'00'

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება №01

ქ. ბათუმი 05 იანვარი, 2019 წელი

ერთის მხრივ შპს "სალიხ აბაშიძის ინფექციური პათოლოგიის, შიდსის და ტუბერკულოზის რეგიონალური ცენტრი" (შემდგომში ,,შემსყიდველი'') წარმოდგენილი მისი დირექტორის ციური აბულაძის სახით და მეორეს მხვრივ, შპს „ირინა შანიძე და კომპანია" წარმოდგენილი მისი დირექტორის გიორგი შანიძის სახით, (შემდგომში ,,მიმწოდებელი'')

„სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის' 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანების მე-3 მუხლის I- პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის საფუძველზე ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1.1 "ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში "ხელშეკრულება") - შემსყიდველ ორგანიზაციასა და ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტს შორის დადებულ ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2. "ხელშეკრულების ღირებულება" 1500,00 (ერთიათასხუთასი ლარი და 00 თეთრი) ლარი, საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.3. "შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომში "შემსყიდველი") ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4. "მიმწოდებელი" ნიშნავს პირს, რომელმაც მოიპოვა გამარჯვება ტენდერში და ახორციელებს საქონლის მიწოდებას მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.5 "დღე", "კვირა", "თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

1.6. ,,საქონელი'' - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს მედიკამენტი ტამიფლუს (CPV 33600000 - ფარმაცევტული პროდუქტები;) შესყიდვა.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 1500,00 (ერთიათასხუთასი ლარი და 00 თეთრი) ლარს.

3.2.ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისიწნებული საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1 ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო, ვალუტა - ლარი;

4.2 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება, ელექტრონული ზედნადების წარმოდგენის შემდეგ 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში;

4.3 მიწოდება უნდა განხორციელდეს, 2019 წლის 08 იანვრის ჩათვლით;

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.2. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ელექტრონული ზედნადების წარმოდგენის შემდეგ 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში;

5.3. შესყიდვის ობიექტის (მისი ნაწილის) მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

6. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

6.1. საქონლის მიწოდების ადგილად განისაზღვრება შემსყიდველის მისამართი ქ. ბათუმი ქათამაძის ქ. №11.

8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1. შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;

ბ) საქონლის მიწოდების დასრულებამდე გამოითხოვოს მიმწოდებლისაგან მისთვის საჭირო დოკუმენტი.

8.2. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიმწოდებლის მიერ მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით;

8.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით;

8.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) მიაწოდოს საქონელი სათანადო ხარისხით და სრული მოცულობით, ხელშეკრულების მე-6 მუხლის შესაბამისად;

ბ) უზრუნველყოს საქონლის მიწოდება ტექნიკური დავალების შესაბამისად;

გ) იმ შემთხვევაში, თუ მიწოდებული საქონელი ნაკლის მქონე აღმოჩნდება გარანტიის მოქმედების ვადაში, აღმოფხვრას ნაკლი ან შეცვალოს იგი შეტყობინებიდან 5 დღის ვადაში;

9. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

9.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინპექტირებას, ობიექტის მიღება-ჩაბარებას განახორციელებს შპს „სალიხ აბაშიძის ინფექციური პათოლოგიის, შიდსის და ტუბერკულოზის რეგიონული ცენტრის“ ადმინისტრაციული-სამეურნეო სამსახურის სამკურნალო და სადიაგნოსტიკო საშუალებების ბრუნვის მთავარი სპეციალისტი თამაზ ავალიანი.

9.2. ინსპექტირება გულისხმობს ხელშეკრულების პირობების შესრულების, აგრეთვე მიწოდებული საქონლის ხარისხის კონტროლს.

9.3. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

10. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

10.1. ფორს-მაჟორული პირობების გარდა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები, ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დაგვიანებით შესრულებისათ-ვის ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 0.1 %.

10.2. იმ შემთხვევაში, თუ საჯარიმო სანქციების ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 5%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

10.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10.4 ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს

გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.
10.5. შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისთვის ვალდებულებების შეუსრულებლობის შესახებ წერილობითი შეტყობინების შემდეგ:
ა) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს მთელი საქონელი ან მისი ნაწილი;
ბ)თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულება;
გ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზის გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.
10.6.ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება, ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.
11.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.
11.3. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის და ამ დებულების მოთხოვნათა
გათვალისწინებით. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

12. ფორს-მაჟორი

12.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.
12.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი.
ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
12.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების
შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

13. სადავო საკითხების გადაწყვეტა

13.1 მხარეებმა არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

13.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

14. ხელშეკრულების ენა

14.1. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე.

15. ხელშეკრულებისა და მომსახურების მოქმედების ვადა

15.1. მომსახურება უნდა განხორციელდეს - 2019 წლის 05 იანვრიდან 2019 08 იანვრის ჩათვლით.

15.1. ხელშეკრულება ძალაში 2019 წლის 05 იანვრიდან და მოქმედებს 2019 წლის 01 მარტის ჩათვლით.

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
შპს "სალიხ აბაშიძის ინფექციური პათოლოგიის, შიდსის და ტუბერკულოზის რეგიონული ცენტრი“ ს/კ 245418392	შპს ირინა შანიძე და კომპანია" ს/კ 245389583
იურიდიული მისამართი: ქ. ბათუმი, ქათამაძის ქ. №11 თაბუკაშვილის ქ. №7 ელ. ფოსტა info.infeqciuri@gmail.com ტელ: 253615; 253088	მის: ქ. ბათუმი ჭავჭავაძის ქ №2
საბანკო რეკვიზიტები: ს.ს. ,,ვი თი ბი ბანკი" ბ/კ: UGEBGE22 ა.ა. GE52VT5500000000203408	საბანკო რეკვიზიტები: ს.ს. ,,თიბისი ბანკი" ბანკისკოდი TBCBGE22 ანგარიში GE23TB4471036020100001
დირექტორი ციური აბულაძე ----------	**დირექტორი: გიორგი შანიძე** ----------

ინფორმაცია ინტერესთა
კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ქ. ბათუმი 05 იანვარი, 2019 წ.

ვადასტურებ, რომ მედიკამენტი ტამიფლუს (CPV33600000 - ფარმაცევტული პროდუქტები;) ელექტრონული ტენდერი აუქციონის გარეშე შესყიდვასთან დაკავშირებულ საქმიანობაში ჩვენი მონაწილეობა არეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს.

დირექტორი: ციური აბულაძე

ადმინისტრაციული-სამეურნეო სამსახურის
სამკურნალო და სადიაგნოსტიკო საშუალებების
ბრუნვის მთავარი სპეციალისტი: თამაზ ავალიანი